

ინფორმაცია თსსუ კრიტიკული მედიცინის მიმართულების კლინიკური
ტოქსიკოლოგიის დეპარტამენტის შესახებ



დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული
პროფესორი ნინო ლობჯანიძე



ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ კობიძე



ასისტენტ პროფესორი ნინო ჭავჭავანიძე

თსსუ კრიტიკული მედიცინის მიმართულების კლინიკური ტოქსიკოლოგიის
დეპარტამენტს ორი წინამორბედი ჰყავს და მათი ისტორია ასახავს საქართველოში
კლინიკური ტოქსიკოლოგიის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკური ტოქსიკოლოგიის
კურსი დაარსებულია 1992 წელს, ხელმძღვანელი - მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი თეიმურაზ კობიძე. კურსის კლინიკურ ბაზას წარმოადგენდა საინსტიტუტო კლინიკის - რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ტოქსიკოლოგიის განყოფილება.

1994 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტის ბაზაზე (უფროსი-მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი ზურაბ კაცაძე) ჩამოყალიბდა ქიმიურ კატასტროფათა ჯგუფი.

1998 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტის ბაზაზე დაარსდა ტოქსიკოლოგიის ეროვნული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, ხელმძღვანელი - ევროპის ტოქსიკოლოგიის ცენტრებისა და კლინიკურ ტოქსიკოლოგთა ასოციაციის ნამდვილი წევრი, მედიცინის აკადემიური დოქტორი თეიმურაზ კობიძე. ცენტრი დსთ სივრცეში მესამე (ალმა-ატის და მოსკოვის შემდეგ) გახლდათ, ხოლო ამიერკავკასიაში კი, პირველი და შეტანილია ტოქსიკოლოგიის ცენტრების მსოფლიო გლოსარიუმში.

დეპარტამენტის მეორე წინამორბედი - გადაუდებელი თერაპიისა და კლინიკური ტოქსიკოლოგიის კათედრა - დაარსებულია 1961 წელს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში (1993 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია). მისი პირველი კათედრის გამგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გიორგი ადამიას მიერ. 1978 წლიდან 2000 წლამდე კათედრას სათავეში ედგა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პავლე ნიშნიანიძე. 1978 წელს თბილისის მე 5 ე კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე დაარსდა საქართველოში პირველი ტოქსიკოლოგიის განყოფილება, ხოლო შემდეგ კი კათედრის თანამშრომელთა (დოც. ო. ქორიძე) ძალისხმევით, ამ განყოფილების ბაზაზე შეიქმნა საქართველოში პირველი კლინიკური ტოქსიკოლოგიის ცენტრი.

2000 - 2006 წწ. კათედრას უძღვებოდა მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნინო ლობჯანიძე.

2006 წელს განხორციელდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რეორგანიზაცია. იგი შეუერთდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს და შეიქმნა თსსუ კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის კლინიკური ტოქსიკოლოგიის მიმართულება, შემდეგ კი კლინიკური ტოქსიკოლოგიის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელია მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნინო ლობჯანიძე. დეპარტამენტის კლინიკურ ბაზას წარმოადგენს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის საავადმყოფოს ტოქსიკოლოგიის განყოფილება.

კლინიკური ტოქსიკოლოგიის დეპარტამენტში პედაგოგიურ, სამკურნალო და სამეცნიერო მუშაობას წარმართავენ ასოცირებული პროფესორი ნინო ლობჯანიძე, ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ კობიძე, ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭავჭავანიძე, მოწვეული პედაგოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი ეკატერინე ქურდაძე, ლაბორანტი ლია რუსიეშვილი.

დეპარტამენტის მუშაობის თემატიკას წარმოადგენს მწვავე ეგზოგენური მოწამვლები და გადაუდებელი მდგომარეობები . დიპლომამდელი განათლების გარდა, კლინიკური ტოქსიკოლოგიის დეპარტამენტი მონაწილეობს თსსუ-ს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მუშაობაში. კერძოდ, დეპარტამენტი ანხორციელებს პროფესიული რეაბილიტაციის გრძელვადიან პროგრამას და დარგობრივი რეზიდენტურის პროგრამის მოდულებს. ასევე, რეზიდენტურის 2-წლიან პროგრამას.

კლინიკური ტოქსიკოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულია 220-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის რამოდენიმე მონოგრაფია და სახელმძღვანელო. დეპარტამენტში შესრულებულია 4 სადისერტაციო ნაშრომი.

დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ნინო ლობჯანიძე არის თსსუ წარმომადგენლობითი და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს წევრი.

დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, თეიმურაზ კობიძე არის ექიმთა სასერტიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე კლინიკურ ტოქსიკოლოგიაში, ხოლო მისი მოადგილეა ასოცირებული პროფესორი ნინო ლობჯანიძე.

დეპარტამენტის თანამშრომლები გაერთიანებული არიან საქართველოს კლინიკურ ტოქსიკოლოგთა და საქართველოს ტოქსიკოლოგთა ასოციაციებში, აგრეთვე ევროპის ტოქსიკოლოგთა ასოციაციებში.

